**ნეიტრალური** - Neutral - Нейтральный

(ლათ. neuter+a+um *'არც ერთი, არც მეორე, ორიდან არცერთი')*

განურჩეველი ანუ ის, რაც სულერთია; რაც არ უკავშირდება დამუხტულ, გამორჩეულ, დაძაბულ, მნიშვნელოვან ანუ გამორჩევად რამეს [იხ. **გამორჩევადობა**]. მაგ., ადამიანისთვის **ნ** ვითარება ისეთია, რომელიც არ იწვევს მის **გრძნობებს**, **ასოციაციურად** არ უკავშირდება მის **მოთხოვნილებებს** (არც ხელს უშლის), არ უკავშირდება არც მას და არც იმ ადამიანებსა თუ საკითხებს, რომლებიც მისთვის პირადულად ან მსოფლმხედველობრივად მნიშვნელოვანია.

**ნ**-ობა ყოველთვის ნულოვანი **ვალენტობით** ხასიათდება. მაგრამ პირიქით ასე არაა; როცა **რესპონდენტი** ანკეტაში ირჩევს 0-ს ან მის შესაბამის **პოზიციას**, ეს ყოველთვის არ ნიშნავს **ნ**-ობას – ზოგჯერ 0 არის **ამბივალენტობის, ამბიდენტობის** შედეგი: ადამიანი მერყეობს, ვთქვათ, +3-სა და -3-ს შორის, ვერცერთს ვერ ირჩევს და ამიტომ ირჩევს 0-ს, რითაც, არსებითად, არჩევანს განერიდება. ისევე როგორც ბურიდანის ვირის დგომა ერთ ადგილას იმას არ ნიშნავს, რომ მას არცერთი ზვინი არ იზიდავს (რადგან მშიერი ვირი ორი ზვინის ზუსტად შუაშია). ესე იგი, ფსიქოლოგიაში, მათემატიკისგან განსხვავებით, ნამდვილი 0 (**ნ**-ობა) არსებითად განსხვავდება +3-ისა და –3-ის ჯამისგან. ანუ **ნ**-ობა არსებითად განსხვავდება ამბივალენტობისგან.